<u>ტექნიკური დავალება</u>

შესყიდვის ობიექტის დასახელება: სსიპ ,,საქართველოს ეროვნული ბანკის“ საკასო ცენტრის თანამშრომლების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.

არსებული სიტუაციას აღწერა: საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის თანამშრომლები დაყოფილია ორ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი შედგება მაქსიმუმ 20 თანამშრომლისგან. საკასო ცენტრში აღნიშნული ჯგუფები ერთმანეთის მონაცვლეობით 2 კვირიანი ინტერვალით მორიგეობენ:

ა) ჯგუფი №1 - სამუშაო პერიოდი 2 კვირა;

ბ) ჯგუფი №2 - სამუშაო პერიოდი 2 კვირა.

1. **ზოგადი მოთხოვნები**
   1.1. მომწოდებელმა თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ჯგუფი №1-ის და ჯგუფი №2-ის ერთმანეთის მონაცვლეობით დაახლეობით ორ-ორი კვირის განმავლობაში ტრანსპორტირება, ქვემოთ მოცემული ტრანსპორტირების მიმართულებების/რეისების შესაბამისად.
   1.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ჯგუფების ტრანსპორტირების მომსახურება:
   1) სავარაუდოდ 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
   2) 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
   მომსახურების გაწევა განხორციელდება სამუშაო დღეების განმავლობაში, თუმცა შემსყიდველის მოთხოვნით, მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს არასამუშაო (უქმე) დღეებშიც, რაც მიმწოდებელს უნდა ეცნობოს სულ მცირე 2 დღით ადრე.
   1.3. მომსახურება უნდა განხორციელდეს 3 (სამი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით.

   ა) პირველი და მეორე - სავარაუდოდ მიკროავტობუსი, არანაკლებ 20 დასაჯდომი ადგილით თითოეული;

   ბ) მესამე - სავარაუდოდ მიკროავტობუსი, არანაკლებ 10 დასაჯდომი ადგილით.

   1.4. ლოკაციების თანმიმდევრობა უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

2. **მომსახურების აღწერა**
   2.1. <u>**ჯგუფი №1 (სამუშაო პერიოდი 2 კვირა):**</u>

   - ✓ **მიკროავტობუსი №1** (მინიმუმ 20-ადგილიანი):
     - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №1** (მანძილი დაახლოებით 90 კმ.). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დილის 8:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: დიდი დიღომი, მე3 მ/რ-დიღომი 7- ვაჟა-ფშაველას გამზ.-ყაზბეგის გამზ.-მიცკევიჩის ქუჩა-ქეთევან დედოფლის გამზირი-ჭრელაშვილის ქუჩა-აწყურის ქუჩა-ქინძმარაულის შესახვევი. დანიშნულების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72 (საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი), მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.

- ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №2** (მანძილი დაახლოებით 90 კმ). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს კახეთის გზატკეცილი N72-დან დაახლოებით საღამოს 17:00-19:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: ქინძმარაული შესახვევი-აწყურის ქუჩა-ჭრელაშვილის ქუჩა-ვაჟა-ფშაველას გამზ.-ყაზბეგის გამზ.-მიცკევიჩის ქუჩა-დიდი დიღომი, მე-3 მ/რ-დიღომი 7. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.

- ✓ **მიკროავტობუსი №2** (მინიმუმ 20-ადგილიანი):
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №3** (მანძილი დაახლოებით 90 კმ.). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დილის 8:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: თემქა, მე-3 მ/რ-სანზონა, არბოს ქუჩა-ნაძალადევი, ჯავის მე-3 შესახვევი-სვანეთის უბანი-ქეთევან დედოფლის გამზირი-ბანაკის დასახლება-ვარკეთილი, აბაშვილის ქუჩა-ვარკეთილი, მეგობრობის ქუჩა. დანიშნულების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72 (საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი). მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №4** (მანძილი დაახლოებით 90 კმ). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დაახლოებით საღამოს 17:00-19:00 სთ-ზე კახეთის გზატკეცილი N72-დან შემდეგი ლოკაციების გავლით: ვარკეთილი, მეგობრობის ქუჩა-ვარკეთილი, აბაშვილის ქუჩა-ვაზისუბნის მე-2 მ/რ-სვანეთის უბანი-სანზონა-თემქა-დიდი დიღომი-დიღომი 7. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.

- ✓ **ავტოსატრანსპორტო საშუალება №3** (მინიმუმ 10-ადგილიანი):
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №5** (მანძილი დაახლოებით 40 კმ.): ავტოსატრანსპორტო საშუალებამ მოძრაობა უნდა დაიწყოს დაახლოებით 18:00-21:00 სთ-ზე კახეთის გზატკეცილი №72-დან შემდეგი ლოკაციების გავლით: ქეთევან დედოფლის გამზირი-სვანეთის უბანი-მიცკევიჩის ქუჩა-ფშაველას მე-4 კვრტ. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 5 ადამიანი.

შენიშვნები:

ა) მომსახურების დაწყების ზუსტ დროს შემსყიდველი ყოველდღიურად შეატყობინებს მიმწოდებელს ელ. ფოსტის, სატელეფონო ზარის ან SMS-ის საშუალებით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ, ავტოსატრანსპორტო საშუალება ან მძღოლი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლებს მომსახურების გაწევას (მაგ: ავტოტექმომსახურების ან გადაუდებელი რემონტის აუცილებლობა, მძღოლის ავადმყოფობა და სხვა), მიმწოდებელი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სხვა სატრანსპორტო საშუალების და/ან მძღოლის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება და მძღოლი უნდა შეესაბამებოდეს მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გ) სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების პირობებში შემსყიდველი უზრუნველყოფს შესაბამის ნებართვას/თანხმობას.

2.2. <u>ჯგუფი №2 (სამუშაო პერიოდი 2 კვირა):</u>

- ✓ **მიკროავტობუსი №1** (მინიმუმ 20-ადგილიანი):
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №6** (მანძილი დაახლოებით 100 კმ.). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დილის 8:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: ავჭალა, ჭრებალოს ქუჩა-დემეტრე თავდადებულის ქუჩა-აკაკი ბაქრაძის ქუჩა-გაგარინის ქუჩა-ბახტრიონის ქუჩა-ჯ. კახიძის ქუჩა-ოქროყანა-ორთაჭალა ს.თბოგველის ქუჩა-ვაზისუბანი, კვაჭანტირაძის ქუჩა. დანიშნულების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72 (საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი), მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №7** (მანძილი დაახლოებით 80 კმ). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს კახეთის გზატკეცილი N72-დან დაახლოებით საღამოს 17:00-19:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: ვაზისუბანი, კვაჭანტირაძის ქუჩა-ორთაჭალა ს.თმოგველის ქუჩა-ოქროყანა-ჯ. კახიძის ქუჩა-ბახტრიონის ქუჩა-გაგარინის მოედანი-აკაკი ბაქრაძის ქუჩა-დემეტრე თავდადებულის ქუჩა-ავჭალა, ჭრებალოს ქუცა. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.

- ✓ **მიკროავტობუსი №2** (მინიმუმ 20-ადგილიანი):
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №8** (მანძილი დაახლოებით 90 კმ.). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დილის 8:00 სთ-ზე შემდეგი ლოკაციების გავლით: გლდანის მე-3 მ/რ-მუხიანის მე-4 მ/რ-თემქა მე-3 მ/რ-მეტრო გურამიშვილი-თემქა, მე-3 მ/რ-გურამიშვილის გამზირი-ნაძალადევი, დიდი ჯიხაიშის ქუჩა-ნაძალადევი, საჭილაოს ქუჩა-ვარკეთილი, ჯავახეთის ქუჩა. დანიშნულების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72 (საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი). მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №9** (მანძილი დაახლოებით 90 კმ). მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს დაახლოებით საღამოს 17:00-19:00 სთ-ზე კახეთის გზატკეცილი N72-დან შემდეგი ლოკაციების გავლით: ვარკეთილი, ჯავახეთის ქუჩა-ნაძალადევი, საჭილაოს ქუჩა-ნაძალადევი, დიდი ჯიხაიშის ქუჩა-გურამიშვილის გამზირი-თემქა მე-3 მ/რ-მუხიანი მე-4 მ/რ-გლდანის მე-3 მ/რ. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი.

- ✓ **ავტოსატრანსპორტო საშუალება №3** (მინიმუმ 10 ადგილიანი)
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი №10** (მანძილი დაახლოებით 30 კმ.): ავტოსატრანსპორტო საშუალებამ მოძრაობა უნდა დაიწყოს დაახლოებით 18:00-21:00 სთ-ზე კახეთის გზატკეცილი №72-დან შემდეგი ლოკაციების გავლით: ნაძალადევი, დიდი ჯიხაიშის ქუჩა-თემქის მე-3 მ/რ. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 5 ადამიანი.

შენიშვნები:

ა) მომსახურების დაწყების ზუსტ დროს შემსყიდველი ყოველდღიურად შეატყობინებს მიმწოდებელს ელ. ფოსტის, სატელეფონო ზარის ან SMS-ის საშუალებით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ, ავტოსატრანსპორტო საშუალება ან მძღოლი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლებს მომსახურების გაწევას (მაგ: ავტოტექმომსახურების ან გადაუდებელი რემონტის აუცილებლობა, მძღოლის ავადმყოფობა და სხვა), მიმწოდებელი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სხვა სატრანსპორტო საშუალების და/ან მძღოლის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება და მძღოლი უნდა შეესაბამებოდეს მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გ) სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების პირობებში შემსყიდველი უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვას/თანხმობას.

3. დამატებითი მიმართულება/რეისი:

მიმწოდებელმა 2 კვირაში ერთხელ (ყოველ მეორე პარასკევს) ახალი ჯგუფის გამოსვლამდე უნდა უზრუნველყოს მათი ტრანსპორტირება საკასო ცენტრში და შემდეგ უკან დაბრუნება შემდეგი მიმართულებებით:

- **ავტოსატრანსპორტო საშუალება №1** (მინიმუმ 20 ადგილიანი)
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი N11** (მანძილი დაახლობით 120 კმ.): მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს ისეთ დროს, რომ 12:00 საათზე იყოს საკასო ცენტრის ტერიტორიაზე შემდეგი ლოკაციების გავლით: ვაჟა-ფშაველას გამზირი-ყაზბეგის გამზირი-მიცკევიჩის ქუჩა-თემქა მე-3 მ/რ-სანზონა, არბოს ქუჩა-სვანეთის უბანი, გუმათის ქუჩა-ჭრელაშვილის ქუჩა-ქეთევან დედოფლის გამზირი-ბუშის ქუჩა (გაჩერებაზე)-ვარკეთილი აბაშვილის ქუჩა. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანი. მიმწოდებელი ვალდებულია მგზავრთა უკან დაბრუნება იგივე ლოკაციების გავლით.
  - ✓ **ტრანსპორტირების მიმართულება/რეისი N12** (მანძილი დაახლოებით 120 კმ): მიკროავტობუსმა მოძრაობა უნდა დაიწყოს ისეთ დროს, რომ 12:00 საათზე იყოს საკასო ცენტრის ტერიტორიაზე შემდეგი ლოკაციების გავლით: გლდანის მე-3 მ/რ-მუხიანის მე-4 მ/რ-თემქა მე-3 მ/რ-გურამიშვილის გამზირი-დემეტრე თავდადებულის ქუჩა-აკაკი ბაქრაძის ქუჩა-ბახტრიონის ქუჩა-ოქროყანა-კახიძის ქუჩა-ორთაჭალა, ს.თმოგველის ქუჩა-ვარკეთილი, ჯავახეთის ქუჩა. მგზავრთა სავარაუდო რაოდენობა 10 ადამიანმიმწოდებელი ვალდებულია მგზავრთა უკან დაბრუნება იგივე ლოკაციების გავლით.

4. მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებების და მძღოლის მიმართ:

4.1. ავტოსანტრანსპორტო საშუალებაში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს/ორგანიზაციის მიერ გამოცემული ნორმები/რეკომენდაციები, რომელიც დაკავშირებულია კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების პრევენციასთან. ამასთან მიმწოდებელი კომპანიის იმ მძღოლებს, რომლებიც მოემსახურებიან ეროვნული ბანკის თანამშრომლების უნდა გააჩნდეთ სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი საბუთი (კოვიდ პასპორტი).

4.2. მომსახურების გაწევისას, ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს გამართულ და სუფთა/გარეცხილ მდგომარეობაში, კომფორტული სალონითა და სტანდარტული სავარძლებით, გათბობისა და კონდიცირების სისტემით.

4.3. მომსახურების გაწევისას, ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს საწვავით უზრუნველყოფილი და დაცული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ყველა ნორმა.

4.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მომსახურების გაწევის მთლიან პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებას გავლილი ჰქონდეს ტექ. დათვალიერება.

4.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მომსახურების გაწევის მთლიან პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებებს გააჩნდეს მე-3 პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, კერძოდ მომსახურე ავტასატრანსპორტო საშუალებების მგზავრების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა.

4.6. მომსახურე მძღოლს უნდა გააჩნდეს წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის კანონდებლობით დადგენილი კატეგორიის მართვის მოწმობა.

4.7. მომსახურე სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი უნდა იყოს არანაკლებ 2010 წლისა და მისი ექსტერიერიც და ინტერიერიც უნდა იყოს დაუზიანებელი, ვიზუალურად უნაკლო და უნდა უზრუნველყოფდეს კომფორტულ მგზავრობას.

4.8. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, აღნიშნული მომსახურების პერიოდში, უნდა უზრუნველყოს საკონტაქტო პირის გამოყოფა, რომელთანაც მოხდება ყოველდღიური კომუნიკაცია.

4.9. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ აღნიშნულის თაობაზე 30 დღით ადრე აცნობებს მიმწოდებელს.

4.10. შემსყიდველი არ არის ვალდებული სრულად შეისყიდოს ტექ. დავალებაში მოთხოვნილი მომსახურეობა.

5. დამატებითი მოთხოვნები:

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შერჩევა-შეფასების ეტაპზე მოთხოვოს პრეტენდენტს შემოთავაზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა, ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები შემსყიდველის მისამართზე, სანაპიროს 2 (საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის ტერიტორია) არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, შესაბამისი მოთხოვნიდან.

აღნიშნული მოთხოვნის არშესრულება და/ან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ დავალებასთან შეუსაბამობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

N	ავტოსატრანსპორტო საშუალება	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი, მოდელიდა გამოშვების წელი	რეისის N და მანძილი (კმ)	რეისების სავარაუდო რაოდენობა მომსახურების პერიოდში	ფასი (ლარი) დღგ-ის ჩათვლით	
					ერთი რეისის	საერთო
1	ავტოსატრანსპორტო საშუალება №1 (მინიმუმ 20-ადგილიანი)		N1 (90კმ)	200		
			N2 (90კმ)	200		
			N6 (100კმ)	200		
			N7 (80კმ)	200		
			N11 (120კმ)	15		
			N12 (120კმ)	15		
სულ ავტოსატრანსპორტო საშუალება №1:						
2	ავტოსატრანსპორტო საშუალება №2 (მინიმუმ 20-ადგილიანი)		N3 (90კმ)	200		
			N4 (90კმ)	200		
			N8 (90კმ)	200		
			N9 (90კმ)	200		
სულ ავტოსატრანსპორტო საშუალება №2:						
3	ავტოსატრანსპორტო მინიმუმ 10-ადგილიანი)		N5 (40კმ)	200		
			N10 (30კმ)	200		
სულ ავტოსატრანსპორტო საშუალება №3:						
ჯამი (ხელშეკრულების ფასი):						

ფასი უნდა მოიცავდეს მომსახურების გაწევისათვის საწირო ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.